საკანონმდებლო სიახლეების ცნობარი

(2022 წლის აგვისტო)

მოცემული ცნობარი შეეხება მნიშვნელოვან საკანონმდებლო ცვლილებებს, რომელიც განხორციელდა სხვადასხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებში 2022 წლის აგვისტოს თვეში.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის ბრძანება №ნ-6

2022 წლის 3 აგვისტოს „ანგარიშგების ვებგვერდზე მომხმარებელთა რეგისტრაციის, სუბიექტების მიერ ანგარიშგების წარდგენისა და წარდგენილი ინფორმაციის გასაჯაროების წესის დამტკიცების თაობაზე“ მე-11 მუხლი (ზოგადი ინფორმაცია სუბიექტის შესახებ) და 22-ე მუხლი (მეოთხე კატეგორიის საწარმოს ანგარიშგების მოთხოვნა) ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge, სარეგისტრაციო კოდით: 350080000.64.076.016112

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №44/04

2022 წლის 4 აგვისტოს „ფიზიკური პირის დაკრედიტების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 13 მარტის №44/04 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 (პასუხისმგებლიანი დაკრედიტების პრინციპები); მე-4 (სესხის მომსახურების/უზრუნველყოფის კოეფიციენტები); მე-5 (ყოველთვიური წმინდა შემოსავლისა და სესხის მომსახურების კოეფიციენტის გამოთვლის პრინციპები) მუხლები ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 220010000.18.011.016634

ბრძანება ამოქმედდა 16 აგვისტოდან.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის ბრძანება №09

2022 წლის 11 აგვისტოს დამტკიცდა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 40^2 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული თანამშრომლისათვის სახელმწიფო სპეციალური წოდების მინიჭებისა და მისი სპეციალურ წოდებაში დაქვეითების წესი.

ზემოაღნიშნული ცვლილების დოკუმენტის სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 010100000.78.091.016009

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდა 2022 წლის 5 ივლისიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №257

2022 წლის 12 აგვისტოს „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 29 აგვისტოს №257 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის დანართები ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით („საბაჟო ზედამხედველობის შესახებ“

Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

ინსტრუქციის (დანართი №3); („საქონლის საბაჟო პროცედურაში ან რეექსპორტში დეკლარირებისა და გაფორმების შესახებ“) ინსტრუქციის (დანართი №8).

ზემოაღნიშნული ცვლილების დოკუმენტის სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 230210000.22.033.017611

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანვე.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №48/04

2022 წლის 15 აგვისტოს „ანგარიშვალდებული პირის მიერ პრევენციული ღონისძიებების ელექტრონულად განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2021 წლის 30 მარტის №48/04 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლის მე-10 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„ა) საქართველოს მოქალაქეობის ან ბინადრობის ნებართვის მქონე პირების შემთხვევაში, პროგრამული უზრუნველყოფის მეშვეობით შედარებისას, გამოყენებული უნდა იყოს პიროვნების ნამდვილობის შემოწმების პროცესში გადაღებული ფოტო, რომელიც უნდა შედარდეს სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან მიღებულ ფოტოსთან;“.

ზემოაღნიშნული ცვლილების დოკუმენტის სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 220090000.18.011.016635

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება №12

2022 წლის 17 აგვისტოს „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ ხბრძანების დანართი №2 ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით.

ზემოაღნიშნული ცვლილების დოკუმენტის სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge, სარეგისტრაციო კოდით: 010240060.57.069.016184

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №40/ნ

2022 წლის 19 აგვისტოს „ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“ მე-17 მუხლი (მოსწავლეთა რაოდენობა საჯარო სკოლის კლასში); 46-ე (სახელმწიფო ენა); 48-ე (უცხოური ენები); 51-ე (ტექნოლოგიები); 53-ე (სპორტი) მუხლები ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge, სარეგისტრაციო კოდით: 430210000.22.022.018201

ბრძანება ამოქმედდა 2022 წლის 1 სექტემბრიდან.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №100/ნ

2022 წლის 19 აგვისტოს „ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის №40/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 17 დეკემბრის №100/ნ ბრძანებით განისაზღვრა საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივ ჯგუფში გაერთიანებული სავალდებულო საგნები.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge, სარეგისტრაციო კოდით: 430210000.22.022.018203

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება №487

2022 წლის 23 აგვისტოს „საჯარო რეესტრის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ მე-10 (ცნობა საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის შესახებ); მე-11 (ინფორმაციის გაცემა ტექნიკური აღრიცხვის არქივიდან); 58-ე (ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმების ზოგადი წესი) მუხლები ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით.

Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 040150000.22.027.017350

ბრძანება მოქმედდა 2022 წლის 1 სექტემბრიდან 2025 წლის 1 იანვრამდე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №96/ნ

2022 წლის 23 აგვისტოს დამტკიცდა თანდართული ,,საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ავტორიზებული საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ პროფესიული ან/და უმაღლესი განათლების ფარგლებში განხორციელებული ისეთი საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი, რომლებიც პირდაპირ კავშირშია სამუშაო სივრცეში შრომის უსაფრთხოების დაცვასთან.

ზემოაღნიშნული ცვლილების დოკუმენტის სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 470230000.22.022.018204

ბრძანება ამოქმედდა გამოქვენყებისთანვე.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება №12

2022 წლის 25 აგვისტოს „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანების №2 დანართი ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით.

ზემოაღნიშნული ცვლილების დოკუმენტის სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 010240060.57.069.016185

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №284/04, №41/04

2022 წლის 26 აგვისტოს „კომერციული ბანკების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების სავალდებულო აუდიტორული შემოწმებისა და განმარტებით შენიშვნებში ინფორმაციის გამჟღავნების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 26 დეკემბრის №284/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 12 მარტის №41/04 ბრძანების მე-2 მუხლი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

მუხლი 2. გარდამავალი დებულება

1. კომერციული ბანკები, რომლებიც ამ ბრძანების ძალაში შესვლის მომენტისთვის არ შეესაბამებიან ამ ბრძანების პირველი მუხლით გათვალისწინებული წესის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტით (ბანკის აუდიტორულ მომსახურებასთან დაკავშირებული შეზღუდვები) განსაზღვრულ უწყვეტ 10-წლიან ვადასთან დაკავშირებულ მოთხოვნას ან ერთი და იგივე აუდიტორული ფირმისგან სავალდებულო აუდიტორული მომსახურების მიღების უწყვეტი 10-წლიანი ვადის ამოწურვამდე 2 წელზე ნაკლები პერიოდი აქვთ დარჩენილი, უწყვეტ 10-წლიან ვადასთან დაკავშირებულ მოთხოვნასთან შესაბამისობა უნდა უზრუნველყონ არაუგვიანეს 2025 წლის 31 დეკემბრისა.“

ზემოაღნიშნული ცვლილების დოკუმენტის სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 220020000.18.011.016637

ბრძანების პირველი მუხლით გათვალისწინებული წესის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრული ტენდერის გამართვის ვალდებულება ამოქმედდა 2025 წლის 1 ივნისიდან.“

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანვე.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება №84

2022 წლის 29 აგვისტოს დამტკიცდა საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ დაინტერესებული პირის ავტორიზებულ პირად რეგისტრაციის, ავტორიზაციის, იდენტიფიკაციის, ვერიფიკაციის და ავტორიზებული პირის მიერ მისთვის მომსახურების გაწევისათვის საჭირო ინფორმაციისა და დოკუმენტაციის საჯარო სამართლის იურიდიული

Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოსათვის წარდგენის წესი და პირობები.

ზემოაღნიშნული ცვლილების დოკუმენტის სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 040030000.22.034.017270

ბრძანება ამოქმედდა ამოქმედებისთანავე.

საქართველოს მთავრობის დადგენილება №322

2022 წლის 29 აგვისტოს „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილებაში შეტანილ იქნა ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „იზოლაციისა და კარანტინის წესების“ მე-3 მუხლის:

1. 2^4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნა.
2. მე-3 პუნქტი ამოღებულ იქნა.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge, სარეგისტრაციო კოდით: 470230000.10.003.023651

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge